საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

2022 წელს
განეული საქმიანობის ანგარიში

ძვირფასო მკითხველებო,

წარმოგიდგენთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის ანგარიშს.

მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო სექტორი სტაბილურად განაგრძობს ზრდას. 2022 წელს სადაზღვევო საქმიანობიდან მოზიდულმა პრემიამ 910 მლნ ლარი შეადგინა, რაც 18%-ით მეტია წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემზე. მოზიდული პრემიის ზრდა ფიქსირდება დაზღვევის ყველა წამყვან სახეობაში. 2022 წლის შედეგებით, მზღვეველების მიერ ანაზღაურებული ზარალების ბრუტო ოდენობამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 495.1 მლნ ლარი, რაც 14%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მონაცემს. 2022 წლის მიხედვით, კომპანიების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 210,3 მლნ ლარი, რაც წინა წლის მონაცემზე 22%-ით მეტია, ხოლო წმინდა მოგებამ შეადგინა 39.2 მლნ ლარი და შემცირებულია 2%-ით. წმინდა მოგების შემცირება, სადაზღვევო მოგების ზრდის ფონზე, ძირითადად გამოწვეულია უცხოური ვალუტის კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული ზარალით და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდით.

2022 წელი საკმაოდ აქტიური იყო, მათ შორის საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სფეროს განვითარებისთვის და ემსახურება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას.

დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 2019 წელს დაწყებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი (TWINNING), რომელიც განხორციელდა ესპანეთის სამეფოს ეკონომიკურ საქმეთა და ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დაზღვევისა და საპენსიო ფონდების (DGSFP) გენერალური დირექტორის ექსპერტთა აქტიური მონაწილეობით. სამსახურში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაგრძელდა ესპანელი ექსპერტების მიერ მომზადებულ კანონპროექტზე მუშაობა, რომლის შესაბამისად დაგეგმილია დაზღვევის სფეროს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება და გადახდისუნარიანობა 2-ის სტანდარტის დანერგვა.

გაგრძელდა თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების“ (2019-2022 წ.წ.) პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა სამსახურისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას და საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ახალი სადაზღვევო პროდუქტების განვითარება-დანერგვის საქმეში. პროექტის ექსპერტებთან შეხვედრების ფარგლებში მოხდა მათ მიერ მომზადებული ანგარიშების განხილვა, რომელიც ეხებოდა საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის, სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევის და ასევე, მშენებლებისა და არქიტექტორების პასუხისმგებლობის დაზღვევის განვითრების პერსპექტივებს.

გაგრძელდა თანამშრომლობა სამსახურსა და „მედია სააგენტო XPRIMM“-ს (Promoting the

Reinsurance & Insurance Market by Media) შორის, რომელიც სპეციალიზებულია დაზღვევა/გადაზღვევის, დაზღვევის საშუამავლო საქმიანობის და კერძო საპენსიო დაზღვევის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში მედია სააგენტოს მიერ საქართველოზე გამოიცა ცალკე პროფილური ჟურნალი, რომელშიც მიმოხილულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მონაცემები 2021 წელი სრულად და 2022 წლის პირველი ნახევარი.

ვრცლად, ამ და სხვა მიმართულებით 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ანგარიშში.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

დავით ონოფრიშვილი

სარჩევი

1

ჩვენს შესახებ 5

2

ლიცენზირება-რეგისტრაციის მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები 6

3

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო პროცესი 8

3.1. სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა 8

3.2. სადაზღვევო ბროკერები 27

3.3. საზედამხედველო პროცესი 28

4

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საქმიანობა 31

5

სამართლებრივი ბაზის განვითარება/ საკანონმდებლო პროცესი 33

6

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 35

7

საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი (TWINNING) 42

8

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული სამუშაოები 45

9

ფინანსური განათლების მიმართულებით გაწეული სამუშაოები 47

1 ჩვენს შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 მარტს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრეს დაზღვევის (მათ შორის დაზღვევის შუამავლების) და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში.

სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. სამსახურის ფუნქციებში შედის:

- ✓ დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;
- ✓ სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;
- ✓ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- ✓ სადაზღვევო ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა;
- ✓ კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც იგი ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის განზოგადებას;
- ✓ კანონპროექტების, ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და მისი შესრულების კონტროლი;
- ✓ არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სფეროს ზედამხედველობა კომპეტენციის ფარგლებში;
- ✓ სახელმწიფო ხელისუფლების და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ინიცირებული სახელმწიფო, მუნიციპალური და დარგობრივი სადაზღვევო პროგრამების შეთანხმება.

2 ლიცენზირება-რეგისტრაციის მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები

2022 წლის მონაცემებით საქართველოში ლიცენზირებულია 18 სადაზღვევო ორგანიზაცია, რომლებიც ფლობენ ორივე სახის ლიცენზიას - სიცოცხლის დაზღვევის და დაზღვევის (არა სიცოცხლის).

1. სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ;
2. სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი;
3. სს დაზღვევის კომპანია ქართუ;
4. სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო;
5. სს არდი დაზღვევა;
6. სს სადაზღვევო კომპანია ალფა;
7. სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია;
8. სს პსპ დაზღვევა;
9. სს სადაზღვევო კომპანია უნისონი;
10. სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი;
11. სს სადაზღვევო კომპანია ტაო;
12. სს გრინ დაზღვევა საქართველო;
13. სს თიბისი დაზღვევა;
14. სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი;
15. სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია;
16. სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი;
17. სს ბბ დაზღვევა;
18. სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა;

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამავე კანონით გათვალისწინებული შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამსახურის მიერ წინასწარ შესწავლას ექვემდებარება მზღვეველის ადმინისტრატორის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დირექტორის), ასევე, შიდა აუდიტორის კანდიდატურები. საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა და შეისწავლა სადაზღვევო კომპანიების ადმინისტრატორობის კანდიდატების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები/ინფორმაცია 18 კანდიდატზე, გაიცა 17 თანხმობა, მათ შორის 9 სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და 8 დირექტორზე. ასევე, შიდა აუდიტორის 6 კანდიდატურის შესწავლის შემდეგ, გაიცა თანხმობა ყველა მათგანზე.

საანგარიშო პერიოდში, (წინა წლების მსგავსად), სამსახურში რეგისტრირებულია 4 არასახელმწიფო საპენსიო სქემა, რომელთაგან 3 სქემის დამფუძნებელს წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია, ხოლო ერთი სქემა დაფუძნებულია არამზღვეველი იურიდიული პირის მიერ საკუთარი დასაქმებულებისთვის, კერძოდ:

- ✓ სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი;
- ✓ სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი;
- ✓ სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო;
- ✓ შპს საქაერონავიგაცია.

2022 წლის დასაწყისისთვის დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებდა 17 რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერი.

2022 წლის ივნისში, საქმიანობის შეწყვეტის გამო, პირადი განცხადების საფუძველზე რეგისტრაცია გაუუქმდა ერთ სადაზღვევო ბროკერს, კერძოდ, შპს „შუთს რე სადაზღვევო ბროკერს".

2022 წლის დეკემბერში, საფირმო სახელწოდების ცვლილების გამო განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები შპს „სადაზღვევო ბროკერი მაი ჯორჯიას" სარეგისტრაციო დოკუმენტებში და კომპანია აგრძელებს სადაზღვევო საქმიანობას შპს „დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი გრეკოს" სახელით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა და შეისწავლა 3 სუბიექტის განაცხადი სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციის თაობაზე. რეგისტრაციაში გატარდა 3 სადაზღვევო ბროკერი, კერძოდ:

- ✓ შპს "სადაზღვევო საბროკერო კომპანია თი ერ ჯი ჯგუფი";
- ✓ შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი პრიოჯი";
- ✓ შპს "სადაზღვევო ბროკერი ფრანი";

2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებდა 19 სადაზღვევო ბროკერი:

1. შპს „დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი გრეკო";
2. შპს "რეზოლუშნ ინშუარანს ბროუქერს საქართველო";
3. შპს "სადაზღვევო ბროკერი ჯი.ეს";
4. შპს "ჯორჯიან რეინშურანს ბროკერს" (GEORGIAN REINSURANCE BROKER)";
5. შპს " სადაზღვევო ბროკერი რესპექტი";
6. შპს "სიბ ჯორჯია სადაზღვევო ბროკერი";
7. შპს "სადაზღვევო ბროკერი ნიკოლოზ ჯგუფი";
8. შპს " მაგნუსი სადაზღვევო ბროკერი";
9. შპს სადაზღვევო-საბროკერო კომპანია აი ბი სი ჯორჯია;
10. შპს "სადაზღვევო საბროკერო კომპანია კალმა";
11. შპს "დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი არრიბა";
12. შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი ბროკერზ ჰაუზ ჯორჯია";
13. შპს სადაზღვევო საბროკერო აი ჯი;
14. შსპ "სადაზღვევო ბროკერი ბროკერს ჰაბი";
15. შსპ "საქართველოს სადაზღვევო ბროკერი ჯი-აი-ბი;
16. უცხოური საწარმოს ფილიალი „ზამან ინშუარენს&რეინშუარენს ბროკერ-ის ფილიალი";
17. შპს "სადაზღვევო საბროკერო კომპანია თი ერ ჯი ჯგუფი";
18. შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი პრიოჯი";
19. შპს "სადაზღვევო ბროკერი ფრანი";

3 საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო პროცესი

3.1 სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა

2022 წლის წლიური ანგარიშგების ფორმების მიხედვით, მოზიდულმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 910 მლნ ლარი შეადგინა, რაც 18%-ით მეტია წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემზე.



ქვემოთ მოცემულია 10 წლის განმავლობაში სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკა:





ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ბოლო 10 წლის დინამიკა. 2013 წელს მაღალი სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის სოციალური პროგრამების მართვა გადაეცა სპეციალიზებულ სახელმწიფო სტრუქტურას (სოციალური მომსახურების სააგენტოს, შემდგომ კი, ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს). 2014 წლიდან ბაზარი უფრო სტაბილურად და დამოუკიდებლად ვითარდებოდა. დროთა განმავლობაში დაიხვეწა და მეტად პოპულარული გახდა ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორაციული პროგრამები. დღეისთვის სამედიცინო დაზღვევის მიმართულება საქართველოს სადაზღვევო ბაზრის უდიდეს წილს (41%) იკავებს.



2022 წლის განმავლობაში სამედიცინო (ჯანმრთელობის) პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 375.4 მლნ ლარი, რაც მთლიანი მოზიდული პრემიის 41%-ს შეადგენს, ავტოკასკო 166 მლნ ლარით, მთლიანი მოზიდული პრემიის 18%-ს შეადგენს. ქონების დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 118.5 მლნ ლარი, რაც, სადაზღვევო ბაზრის 13%-ია. სიცოცხლის დაზღვევას მთლიან მოზიდულ პრემიაში 8% უკავია 75 მლნ ლარით, ავტომფლობელთა მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობები, 64.7 მლნ და 30 მლნ ლარით მთლიანი მოზიდული პრემიის 7% და 3% შეადგენს. სხვა დაზღვევის სახეობებზე 9% მოდის - 80.2 მლნ ლარი.

სიცოცხლის დაზღვევა მეტწილად საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებულ სადაზღვევო პროდუქტს უკავშირდება; თუმცა, ასევე, მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევასთან ერთად რეალიზებულ სიცოცხლის დაზღვევასაც. მესამე პირთა მიმართ ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობაში ძირითადად შედის სახმელეთო ტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა და ასევე, სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტები.

სადაზღვევო სექტორის განვითარების ტემპი (18%) სტაბილურად მისდევს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდის ტემპს (19,6%), თუმცა, ბაზარზე კვლავ რჩება მრავალი მიმართულება, როგორიცაა: დაგროვებადი/გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა, სახმელეთო ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა და სხვა მიმართულებები, რაც განსაზღვრავს სექტორის მიმზიდველობას პოტენციური ინვესტიციების თვალსაზრისით.



შენიშვნა 1:

„სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა“ მოიცავს პროფესიული პასუხისმგებლობის, დამქირავებლის პასუხისმგებლობის და ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებს, რომელიც არ არის დაკავშირებული სახმელეთო ან სხვა სახის ტრანსპორტის დაზღვევასთან.

შენიშვნა 2:

“სხვა” ძირითადად მოიცავს ტვირთების, სამოგზაურო, საზღვაო ტრანსპორტის, საავიაციო, ვალდებულებათა შესრულების და ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევის სახეობებს.

შეიძლება ითქვას, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში ბაზრის შენელების, შემდგომ ჯერ მიმართვიანობის ტემპის ზრდის, ხოლო 2022 წლიდან უკვე გაყიდვების ტემპის აღდგენის პროცესმა ბაზრის სტაბილურობის მხრივ მნიშვნელოვანი რყევების გარეშე ჩაიარა. მზღვეველების ფინანსური სიმყარის მაჩვენებლების დინამიკა მოცემულია ქვემოთ.

შენიშვნა:

მაჩვენებლები არ მოიცავს ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის/გადაზღვევის მონაცემებს, რადგან სიცოცხლის დაზღვევა მეტწილად გაერთიანებულია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტებში, როგორც მარტივი ერთწლიანი პროდუქტი განსაზღვრული ლიმიტით ან ცალკე, საბანკო-სასესხო ვალდებულების ფარგლებში გაცემული სიცოცხლის დაზღვევის სახით. სწორედ ამიტომ, გადაზღვევა აღნიშნულ სახეობებში არ არის ისეთივე ხშირი, როგორც ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებში.

გადაზღვევა წარმოადგენს მზღვეველის ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს და მისი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, გადაზღვევის დაფარვა კანონზომიერად მიჰყვება მზღვეველების საქმიანობის განვითარებას. გადამზღვეველთა მონაწილეობა რჩება სტაბილური აღებული ვალდებულებების უმეტეს

ნაწილში, განსაკუთრებით, ეს ეხება ქონებრივი რისკების და პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებას.

2019 წელს გადაზღვევის პრემიის შემცირება მოხდა ქონების და ავტოტრანსპორტის დაზღვევის სახეობებში. ავტოტრანსპორტის დაზღვევის სახეობაში ერთ რისკზე ვალდებულების მოცულობა შედარებით მცირეა, ხოლო ქონების დაზღვევის შემთხვევაში, დასრულდა ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი, რაც თავის მხრივ, აისახა შესაბამისი გადაზღვევის პრემიის შემცირებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება მოცულობითი და კომპლექსური ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმება და მზღვეველები ცდილობენ, ამით მინიმუმამდე დაიყვანონ ფაკულტატიური გადაზღვევის ხელშეკრულებების რაოდენობა. ობლიგატორული გადაზღვევა ავტომატურად მოიცავს მზღვეველის სადაზღვევო პორტფელის განსაზღვრულ ნაწილს და მნიშვნელოვნად ამცირებს რისკების სათითაოდ (ფაკულტატურად) განთავსებასთან დაკავშირებულ პროცესებს და საოპერაციო რისკებს.

გადაზღვევის პრემია ძირითადი სახეობების მიხედვით



მოცემულ გრაფიკში აღნიშნული წილები ძირითადად დაკავშირებულია მზღვეველების მიერ ერთ რისკზე აღებულ ვალდებულებებთან. კერძოდ, რაც უფრო მეტია სადაზღვევო თანხა (დაზღვეული რისკის მოცულობა), მით უფრო მეტად დგება გადაზღვევის საჭიროება. ამიტომ, აქ მოცულობით ლიდერობს ქონების დაზღვევა, რომელიც მოზიდული პრემიის ნაწილშიც ძირითად სახეობებში შედის, ხოლო დანარჩენ სახეობებში, მიუხედავად შედარებით მცირე პრემიებისა, ერთ რისკზე აღებული ვალდებულება შესაძლოა, საკმაოდ მოცულობითი იყოს.

დაზღვევის სახეობები	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
სამედიცინო	0%	0%	6%	0%	3%	0%	2%	20%	18%
სახმ. ტრანსპ.	4%	6%	3%	17%	26%	15%	10%	8%	12%
ქონება	80%	71%	60%	63%	66%	58%	63%	64%	64%
ავტო. პასუხისმგებლობა	8%	12%	7%	16%	10%	8%	3%	4%	5%
სიცოცხლე	16%	19%	17%	20%	13%	12%	13%	13%	14%
სხვა პას. დაზღვ.	62%	60%	42%	61%	53%	53%	62%	63%	68%
ავიაცია	96%	90%	75%	87%	90%	88%	98%	93%	92%
ვალდებ. შესრ. დაზ.	58%	60%	54%	60%	62%	52%	61%	61%	67%
ტვირთები	54%	29%	28%	29%	33%	34%	33%	30%	31%
სხვა.	11%	16%	21%	16%	17%	21%	32%	35%	29%
სულ	26%	23%	21%	22%	24%	19%	21%	28%	26%

სახეობების მიხედვით, გადაზღვევის პრემიის პროცენტული წილები ჯამურ პრემიაში ძირითადად უცვლელია წლიდან წლამდე. ყველაზე მეტად გადაზღვევა, როგორც წესი, აქტუალურია ავიაციის, ქონების, სხვა პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა შესრულების და ტვირთების დაზღვევის სახეობებში. სწორედ აღნიშნულ სახეობებში ხდება დიდი რისკების აღება და მათი გადანაწილება გადაზღვევის გამოყენებით. აქვე ჩანს, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში გადაზღვევის როლი მინიმალურია, რადგან აღნიშნულ სახეობაში უფრო მცირე მოცულობის სადაზღვევო შემთხვევები დგება, თუმცა ბევრად უფრო მაღალი სიხშირის.



შენიშვნა:

არ მოიცავს სიცოცხლის და სამედიცინო დაზღვევის სახეობების მონაცემებს.



შენიშვნა:

არ მოიცავს სიცოცხლის და სამედიცინო დაზღვევის სახეობების მონაცემებს.

საქმიანობის დინამიკა



2014 წელს, საყოველთაო დაზღვევის პროგრამების სოციალური მომსახურების სააგენტოში გადანაცვლებასთან ერთად, შემცირდა გამომუშავებული პრემია ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში, თუმცა ამავე დროს, შემცირდა ზარალებიც, ხოლო 2015 წლიდან, როგორც მოზიდული, ისე გამომუშავებული პრემია სტაბილურად და თითქმის პარალელურად იზრდება, რაც ბაზრის სტაბილურ განვითარებაზე მეტყველებს (კერძოდ, არ ფიქსირდება დაზღვევის მნიშვნელოვანი წყვეტა პოლისების გაუქმების გამო).



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
დამდგარი ზარალი ბრუტო	219	194	233	251	339	522	379	425	475
დამდგარი ზარალი ნეტო	179	167	187	217	230	277	296	313	373

ზემოხსენებულ ბრუტო და ნეტო მაჩვენებელს შორის არის გადაზღვევის წილი ზარალებში. ამ გრაფიკიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადაზღვევა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისა და მზღვეველის ფინანსური სტაბილურობისთვის.



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ანაზღაურებული ზარალები (ბრუტო)	219	211	232	249	302	533	385	436	495

ანაზღაურებული ზარალები ბრუტო, პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგენს 495.1 მლნ ლარს და 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 14%-ით.



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ანაზღაურებული ზარალები (ნეტო)	208	172	192	221	236	275	288	327	372

ნეტო ანაზღაურებულმა ზარალმა შეადგინა 372.2 მლნ ლარი და წინა წელთან შედარებით, ასევე გაზრდილია 14%-ით.

კომპლექსური გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენების საშუალებით, მიუხედავად მოცულობის ზრდისა, ნეტო ზარალიანობის კოეფიციენტი (მზღვეველის წილი ზარალებში) სტაბილურობას ინარჩუნებს. აღსანიშნავია, რომ მაგალითისთვის, 2019 წელს მოცემული 91% ზარალიანობის კოეფიციენტის ზრდა გამოწვეულია მხოლოდ ორი მზღვეველის პორტფელში მომხდარი მსხვილი ზარალებით, მაგრამ ზიანის ოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ გადაზღვევის არარსებობის პირობებში, მზღვეველების მიერ ამ ზარალების ანაზღაურება შეუძლებელი იქნებოდა და ცალსახად გამოიწვევდა მზღვეველის გადახდისუუნარო. ასეთი რისკების თავიდან აცილების მიზნით, სამსახურს გამოცემული აქვს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება მზღვეველის მიერ ერთ რისკზე აღებული ნეტო ვალდებულებების მაქსიმალური ოდენობა და დაწესებულია გარკვეული მოთხოვნები გადამზღვეველების და გადაზღვევის ხარისხის მიმართაც.

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ზარალიანობის კოეფიციენტი (ბრუტო)	65%	60%	63%	61%	69%	91%	61%	60%	57%

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ზარალიანობის კოეფიციენტი (ნეტო)	65%	68%	66%	67%	60%	62%	60%	62%	62%

ბაზრის კონცენტრაცია





როგორც ზემოხსენებული გრაფიკებიდან ჩანს, უმსხვილესი 5 მზღვეველის წილი ბაზარზე, შესაბამისად, ბაზრის კონცენ-ტრაციაც წლიდან წლამდე მცირდება.

ქვემოთ მოცემულია ბაზარზე მზღვეველების ინდივიდუალური წილის გადანაწილება.



მზღვეველების აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურა

აქტივის დასახელება	თანხა (მლნ ლარი)
ფულადი სახსრები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკ. დაწეს. მიმართ	397
ფინანსური აქტივები	43
დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები, წმინდა*	349
სხვა სადაზღვევო აქტივები**	154
ინვესტიციები შვილობილ და დაკავშირებულ პირებში	21
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	55
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა	36
სხვა აქტივები	51
სულ	1,106

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაზღვევო კომპანიების აქტივები შეადგენდა 1 105.6 მლნ ლარს, რაც 12%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, ხოლო, კაპიტალი გაზრდილია 6%-ით და შეადგენს 343.2 მლნ ლარს.

მზღვეველების აქტივების სტრუქტურა



* შენიშვნა 1:

სადაზღვევო და გადაზღვევის მოთხოვნები შემცირებულია კანონმდებლობით დადგენილი გაუფასურების რეზერვით;

** შენიშვნა 2:

სხვა სადაზღვევო აქტივები ძირითადად შედგება რეზერვებში გადამზღვეველის წილისგან.

მზღვეველების აქტივების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ფულადი სახსრები და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აქტივების 1/3-ზე მეტს შეადგენს.

მზღვეველების საბალანსო ვალდებულებების სტრუქტურა



მზღვეველების მიერ აღებული ვალდებულებების 88% უშუალოდ უკავშირდება სადაზღვევო და საპენსიო საქმიანობას. სადაზღვევო რეზერვების დაფარვა კი, ძირითადად ხდება ფულადი სახსრებით. რეზერვების მხოლოდ მცირედი ნაწილი არის განთავსებული უძრავ ქონებაში ან ფინანსურ აქტივებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ აქტივების ხარისხს სამსახური განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება.

სექტორის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა



მზღვეველის მინიმალური კაპიტალის მიმართ მოთხოვნების ეტაპობრივი გაზრდის გათვალისწინებით, 31.12.2021-დან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები გაიზარდა 7.2 მლნ ლარამდე ფულადი ფორმით, თუ მზღვეველი ეწევა საქმიანობას დაზღვევის შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ სიცოცხლის დაზღვევა;
- ✓ (დაზღვევა) არასიცოცხლის;
- ✓ გადაზღვევა;
- ✓ სავალდებულო დაზღვევის სახეობები;
- ✓ ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა.

ხოლო, თუ მზღვეველი საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებში, გარდა სავალდებულო დაზღვევის და ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობებისა, 2021 წლის 31 დეკემბრიდან მინიმალური კაპიტალის ოდენობა გაიზარდა 4.8 მლნ ლარამდე.



2022 წლის მიხედვით, კომპანიების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 210,3 მლნ ლარი, რაც წინა წლის მონაცემზე 22%-ით მეტია. წმინდა მოგებამ შეადგინა 39.2 მლნ ლარი და შემცირებულია 2%-ით. წმინდა მოგების შემცირება, სადაზღვევო მოგების ზრდის ფონზე, ძირითადად გამოწვეულია უცხოური ვალუტის კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული ზარალით და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდით.


სადაზღვევო მოგება მლნ ლარი
230
210
190
170
150
130
110
90
70
50
30
10
172.0
210.3
2021 წელი
2022 წელი


წმინდა მოგება მლნ ლარი
45
40
35
30
25
20
15
10
5
0
39.9
39.2
2021 წელი
2022 წელი


მოგების დინამიკა წლების მიხედვით
(მლნ ლარი)
50
40
30
20
10
0
3
19
20
42
25
48
40
39
2015
2016
2017
2018
2019
2020
2021
2022


კაპიტალზე უკუგების (ROE) დინამიკა
37%
32%
27%
22%
17%
12%
7%
2%
3%
14%
13%
19%
11%
17%
12%
11%
2015
2016
2017
2018
2019
2020
2021
2022

როგორც უკვე აღინიშნა, მოგების ცვალებადობა დაკავშირებული იყო პანდემიასთან და სხვა თანმხლებ ეკონომიკურ პროცესებთან. თუმცა, ბაზარმა მომგებიანობა შეინარჩუნა, ხოლო, სამსახურის მიერ მოთხოვნების დაწესება ხდებოდა დროულად და თანმიმდევრულად, რაც შესაბამისად აისახა საზედამხედველო კაპიტალის სტაბილურ ზრდაში.





საზედამხედველო კაპიტალის ჯამური ოდენობის ზედმეტობა ჯამური გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან მიმართებაში 188%-ს შეადგენს, რაც ბაზრის მაღალ გადახდისუნარიანობაზე მეტყველებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ზრდის ფონზე კაპიტალისადმი მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მზღვეველების მცირე ნაწილს მოუწია კაპიტალში დამატებითი ინვესტირების განხორციელება. აღნიშნულ პროცესზე სამსახური ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებს.



შენიშვნა:

საზედამხედველო კაპიტალის ჯამური ოდენობის ზრდის მიუხედავად, მისი თანაფარდობა გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან შემცირებულია წინა წელთან შედარებით, რადგან ბაზრის ზრდის ტემპი 2022 და 2021 წლებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2020 წლის მაჩვენებელს, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის ჯამური ოდენობა.





საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დანერგვის მომენტიდან (2016 წელი) დღემდე მნიშვნელოვნად შემცირებულია დისკონტირებული აქტივების წილი კომპანიების ჯამური აქტივების მოცულობაში.

შენიშვნა:

მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, მიმდინარე საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების პროცესში (მათ შორის, აუდიტირებული ანგარიშგების შედარების შედეგად) გამოვლენილი განსხვავებების გამო, ზემოხსენებული მონაცემები შესაძლოა შეიცვალოს.

3.2 სადაზღვევო ბროკერები

სადაზღვევო ბროკერების საქმიანობა სადაზღვევო ბიზნესის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იგი არის მნიშვნელოვანი რისკის მატარებელი მომხმარებელთა კუთვნილი თანხების და რისკების განთავსების ხარისხის ნაწილში. სწორედ ამის გათვალისწინებით, განხორციელდა დაზღვევის საშუამავლო მარეგულირებელი საზედამხედველო ჩარჩოს გაძლიერება, რაც მომავალში უფრო მეტად უზრუნველყოფს ბროკერების საქმიანობის მაღალ ხარისხს, პროფესიონალიზმსა და საიმედოობას.

2022 წლის განმავლობაში სადაზღვევო ბროკერის საკომისიოების ოდენობამ 7.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 18%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სადაზღვევო ბროკერებს საშუამავლო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ ერთდროულად როგორც დაზღვევის, ისე გადაზღვევის მიმა-

რთულებით, მათი საკომისიო შემოსავლის 64% გამომდინარეობს დაზღვევის საშუამავლო საქმიანობიდან, ხოლო დარჩენილი 36% გადაზღვევის საშუამავლო საქმიანობიდან. 2022 წელს საკომისიოების ზრდა ფიქსირდება ორივე მიმართულებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია სამსახურის მიერ რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერების წილი სადაზღვევო სექტორის დაზღვევის და გადაზღვევის პრემიაში.





3.3 საზედამხედველო პროცესი

სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მზღვეველების და სადაზღვევო ბროკერების (შემდგომში „კომპანიები“) ფინანსური მდგრადობის/გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის კონტროლი. ასევე, მათ მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მონიტორინგი.

კომპანიების უშუალო ზედამხედველობა ხორციელდება სამსახურის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშგებების ფორმების, დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის, მზღვეველების ადგილზე ინსპექტირების პროცესში მოპოვებული დოკუმენტაციისა და დეტალური მონაცემების ანალიზის გზით. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიების მიმართ გამოიყენება სანქციები, კომპანიების მიერ კანონმდებლობის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

გარდა ამისა, ეფექტური ზედამხედველობისა და რეგულირების პროცესის მუდმივად გაუმჯობესების მიზნით, სამსახური ახორციელებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ შესაბამის სახელმწიფო და კერძო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, რათა მოხდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის და გამოცდილების დროული გაზიარება.

2022 წლის განმავლობაში სამსახურმა შეამოწმა 18 მზღვეველი ორგანიზაციიდან მიღებული 2021 წლის წლიური, IV კვარტლის, დეკემბრის და 2022 წლის I-III კვარტლებისა და იანვარი–ნოემბრის ფინანსური და სტატისტი-

კური ანგარიშგების ფორმები, საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმები.

შემოწმდა მზღვეველი ორგანიზაციების და სადაზღვევო ბროკერების მიერ ამავე პერიოდში საბანკო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ცნობები ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებზე რიცხული ფულადი ნაშთებისა და ამ ანგარიშებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების და ღონისძიებების შესახებ, რომლის შედარება მოხდა წარმოდგენილი ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მონაცემებთან.

შემოწმდა 19 სადაზღვევო ბროკერის მიერ წარმოდგენილი 2021 წლის წლიური და 2022 წლის 6 თვის ანგარიშგების ფორმები.

სამსახურმა განიხილა მზღვეველი ორგანიზაციებიდან მიღებული 2021 წლის გარე აუდიტორული დასკვნები, რისი შედარებაც მოხდა ამავე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმების მონაცემებთან.

სამსახურმა განიხილა სადაზღვევო ბროკერებისგან მიღებული 2021 წლის გარე აუდიტორული დასკვნები.

მზღვეველი ორგანიზაციების და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, მომზადდა სადაზღვევო ბაზრის 2021 წლისა და 2022 წლის I-III კვარტლების სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშგებები, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

სადაზღვევო ბროკერების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, მომზადდა 2021 წლისა და 2022 წლის 6 თვის ანგარიში, მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

მომზადდა პასუხები და შესაბამისი ანგარიშგებები სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ორგანიზაციებიდან (მზღვეველი ორგანიზაციები, სადაზღვევო ბროკერები, საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო და ა.შ.) შემოსულ წერილებზე.

მზღვეველი ორგანიზაციების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, სამსახურის ხელმძღვანელობისთვის სხვადასხვა პერიოდულობით მზადდებოდა ანალიტიკური ანგარიშები მზღვეველების ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, სადაზღვევო რეზერვების განთავსებისა და საზედამხედველო კაპიტალის შესაბამისობის შესახებ.

აღირიცხა მზღვეველი ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური ოდენობის უზრუნველსაყოფად საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების ხელშეკრულებები და მომზადდა მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებული გარიგების/ტრანზაქციის განსახორციელებლად მზღვეველებისთვის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობები.

დამუშავდა სავალდებულო დაზღვევის ცენტრიდან მიღებული 2021 წლის დეკემბრისა და 2022 წლის იანვარი-ნოემბრის ინფორმაცია და შედარდა მზღვეველი ორგანიზაციების მიერ ანგარიშგების ფორმებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან.

განახორციელდა მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესის და შესაბამისი დანართების/ანგარიშგების ფორმების შემოწმება, სამსახურმა გამოითხოვა სხვა დამხმარე ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია გადაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ და გარკვეულ შემთხვევებში, გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებები.

განხორციელდა 2021 წლის IV და 2022 წლის I-III კვარტლების მზღვეველების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მსოფლიო ბანკის

ექსპერტების მხარდაჭერით დანერგილი ანალიტიკური ინსტრუმენტის მეშვეობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამსახური დისტანციური ზედამხედველობის ფარგლებში, ასევე აქტიურად აკონტროლებს ადგილზე ინსპექტირების შედეგად მზღვეველის მიერ სამსახურის მითითებების შესრულებას.

სულ 2022 წლის განმავლობაში, სამსახურის მიერ გამოვლინდა დარღვევის 292 ფაქტი, გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სამსახურმა გასცა წერილობითი გაფრთხილებები და შესაბამის კომპანიებს დააკისრა ფულადი ჯარიმები.

სადაზღვევო ბროკერების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების შემოწმებისას გამოიკვეთა გარკვეული სახის უზუსტობები, რაზეც მომზადდა შესაბამისი წერილები და მოხდა დაზუსტებული ანგარიშგების ფორმების გამოთხოვა. გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სამსახურმა გასცა წერილობითი გაფრთხილებები და დააკისრა ფულადი ჯარიმა.

2021 წლის გარე აუდიტორული დასკვნების განხილვის შედეგად, მოხდა მზღვეველი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება და აუდიტორულ დასკვნებსა და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ასახულ მონაცემებს შორის სხვაობის მიზეზებზე დამატებითი ახსნა-განმარტებების მიღება, რის შედეგადაც მზღვეველებმა სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმები შესაბამისობაში მოიყვანეს აუდიტორული დასკვნების მონაცემებთან.

ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან და მზღვეველ ორგანიზაციებთან სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევით მოსარგებლე პირთა სიების დაზუსტების მიზნით, კომუნიკაციის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებულია მზღვეველების მხრიდან „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების და მის საფუძველზე სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 აპრილს გაგზავნილი N210 წერილის შესაბამისი მოთხოვნის არაჯეროვნად შესრულების ფაქტები.

გასულ წელს განხორციელდა 3 მზღვეველის ადგილზე ინსპექტირება.

სამსახურის მიერ შემოწმების პროცესების ეფექტიანად და სწრაფად განხორციელების მიზნით, ხორციელდებოდა თემატური შემოწმებები, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ✓ სადაზღვევო რეზერვები;
- ✓ სადაზღვევო მოთხოვნები;
- ✓ დებიტორების გაუფასურების რეზერვი;
- ✓ გადამზღვეველთა მიმართ ვალდებულებები და მოთხოვნები;
- ✓ ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში განხორციელებული საქმიანობა და ა.შ.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა აღრიცხვიანობის ხარვეზები და კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევები. კომპანიებს მოეთხოვა, როგორც სადაზღვევო რეზერვის ოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, დებიტორების გაუფასურების რეზერვის ოდენობის გაზრდა, პროგრამული აღრიცხვიანობის და კონტროლის სისტემების დახვეწა, ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების დაზუსტება და სხვა.

ზემოხსენებული შემოწმებების პროცესში მზღვეველების ხელმძღვანელობასთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, განხორციელდა კაპიტალში მნიშვნელოვანი ინვესტიციები და შესაბამისად, კომპანიების გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

4 ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საქმიანობა

სადაზღვევო ორგანიზაციების, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების და სადაზღვევო ბროკერების ზედამხედველობას, მათ მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, უზრუნველყოფს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სამმართველო.

სამსახურში დანერგილი ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში, დამუშავდა სადაზღვევო ორგანიზაციების და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების 2021 წლის მეორე და 2022 წლის პირველი ნახევრის ამსახველი ფორმები. ხოლო, მათი დამუშავების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების მიმართ სამსახურმა გამოიყენა ფულადი ჯარიმები და/ან წერილობითი გაფრთხილებები.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა გამოსცა მეთოდური რეკომენდაცია „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირის მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების თაობაზე“;

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის მიერ ინიცირებული საქართველოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული სისტემის მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშით იდენტიფიცირებული შედეგების გაძლიერებული follow-up მონიტორინგის პროცესში.

სამსახურის წარმომადგენლები, საანგარიშო პერიოდში, მონაწილეობდნენ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტის მიერ დისტანციურად ორგანიზებული მმართველი კომიტეტის შეხვედრებში და ტრენინგებში.

2022 წლის განმავლობაში სამსახურის, მსოფლიო ბანკის და სხვადასხვა სფეროს ექსპერტების ერთობლივი მუშაობით, ჩატარდა მორიგი კონკურსი საუკეთესო წლიური ანგარიშგების და გამჭვირვალობის ჯილდოს (BARTA) გამარჯვებული კომპანიების გამოსავლენად;

სამსახური საზედამხედველო პროცესს ახორციელებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით:

- ✓ ფინანსური ანგარიშგებისა და ანალიზის სამმართველო;
- ✓ ადგილზე ინსპექტირების სამმართველო;

- ✓ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სამმართველო.

დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის ასევე, საზედამხედველო ტექნოლოგიების SupTech სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ანგარიშგების პორტალისა და საზედამხედველო ანალიტიკური სისტემის დანერგვაზე.

5 სამართლებრივი ბაზის განვითარება/ საკანონმდებლო პროცესი

სამსახურმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქტიური ჩართულობით, განაახლა მუშაობა საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“. აღნიშნულის თაობაზე კონსულტაციები გაიმართა სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე, მოცემული ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს მთავრობას და შევიდა 2023 წლის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში. კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენა დაგეგმილია 2023 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდისთვის.

2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელმაც ახლებურად დაარეგულირა მეწარმის რეგისტრაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რაც თავის მხრივ, შეეხო „დაზღვევის შესახებ“ კანონით რეგულირებულ მეწარმეებს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განსაზღვრავს მეწარმე სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, ხოლო, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია კონკრეტული, დამატებითი მოთხოვნები სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის. ამდენად, დადგა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელების აუცილებლობა, მისი სრულყოფის, სამსახურის მიერ საზედამხედველო უფლებამოსილებათა სათანადოდ განხორციელებისა და „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მათ შორის, ტერმინოლოგიური შესაბამისობის თვალსაზრისით.

აღნიშნული ცვლილება უკავშირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით სდპ-სთვის (რომელსაც მიეკუთვნება მზღვეველი) დადგენილ ვალდებულებას - შექმნას სამეთვალყურეო საბჭოში აუდიტის კომიტეტი, ამავე კანონით გათვალისწინებული წესით და ფორმით და ამ კომიტეტის ფუნქციონირების ზოგად საკითხებს. გამომდინარე იქიდან, რომ მზღვეველის მმართველ ორგანოებთან დაკავშირებული სპეციალური (დამატებითი) მოთხოვნები გაწერილია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, მოცემული ცვლილებით დაზუსტდა მზღვეველების მიერ აუდიტის კომიტეტის შექმნის, მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან დაკომპლექტების პროცედურების დეტალები, ახალი დებულებების ზედმიწევნით შესრულებასთან და სამსახურის მხრიდან პროცესის სათანადო ზედამხედველობის მექანიზმების უზრუნველყოფასთან.

2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, აზიის განვითარების ბანკის ექსპერტებთან ერთად მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიების“ შესახებ. მიმდინარე წლის განმავლობაში სამსახური აქტიურად იყო ჩართული მოცემული კანონპროექტის შემუშავების პროცესში.

2022 წელს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული 3 (სამი) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი:

- ✓ 2022 წლის 30 მაისის N54 ბრძანებით დამტკიცებული „სადაზღვევო ბროკერის

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმების დადგენისა და მათი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენის წესი“;

- ✓ 2022 წლის 30 მაისის N55 ბრძანება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირის მიერ ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის და კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის წესი“;

- ✓ 2022 წლის 24 ოქტომბრის N56 ბრძანება „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებული ”მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში” ცვლილების შეტანის თაობაზე“.

2022 წელს სამსახურმა დაიწყო მუშაობა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე, კერძოდ:

ა) დამუშავდა შიდა სტრუქტურული ერთეულებისგან გამოთხოვილი პირველადი ინფორმაცია;

ბ) მომზადდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ წინადადება;

გ) მომზადდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის სამუშაო ვერსია;

დ) მომზადდა ვიდეოთვალთვალის წესის სამუშაო ვერსია;

ე) მომზადდა ვიდეოთვალთვალის ფაილური სისტემის კატალოგის პროექტი;

ვ) მომზადდა პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების წესის პროექტი;

ზ) მომზადდა პერსონალურ მონაცემთა შენახვის და განადგურების წესის პროექტი.

2022 წლის 26-27 სექტემბერს სამუშაო შეხვედრები ჩატარდა სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლებთან, რომელიც მიზნად ისახავდა ინფორმაციული უსაფრთხოების კანონის მოთხოვნების გაცნობას სადაზღვევო სექტორისთვის, როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის და სამსახურის, როგორც საზედამხედველო ორგანოს სტრატეგიის გეგმის მომზადებისთვის შესაბამისი საჭიროებების, რისკების და შესაძლებლობების გამოვლენას, განხილვასა და ანალიზს.

სამსახურის მიერ მომზადდა 3 საპასუხო წერილი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ასევე, სამსახურში 2022 წლის საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის: სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის გასაგზავნი კორესპონდენცია.

სამსახურმა შეისწავლა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული 2 (ორი) საკანონმდებლო პაკეტი და წარადგინა შესაბამისი პოზიციები. კერძოდ:

- ✓ „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“
- ✓ „სეკურიტიზაციის შესახებ“

6 თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2022 წელს სამსახურმა კვლავ აქტიურად ითანამშრომლა საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან მიმდინარე/ახალი პროექტების, კონფერენციებისა თუ სხვა სახის ღონისძიებების წარმართვის მიზნით, რომლის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საექსპერტო დახმარება დაზღვევის სფეროში არსებული ნორმატიული და სარეგულაციო სისტემის დახვეწის კუთხით და ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

წინა წლების მსგავსად, სამსახური, როგორც დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS - International Association of Insurance Supervisors, შემდგომში IAIS) წევრი, 2022 წელსაც ჩართული იყო თვითშეფასების ონლაინ პროგრამაში - დაზღვევის სხვადასხვა ძირითად პრინციპებთან (ICPs) შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელთანაც საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს სადაზღვევო სისტემა და კანონმდებლობა ეტაპობრივად უნდა მოვიდეს შესაბამისობაში. ამჯერად, თვითშეფასების ინსტრუმენტის ეფექტურობის დადგენის მიზნით, IAIS-ის მიერ წინა წლებში ჩატარებული თვითშეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების თაობაზე ჩაატარა გამოკითხვა აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე, შემდეგ ძირითად პრინციპებთან მიმართებაში: „ზედამხედველების მიზნები, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა (ICP 1)", „ზედამხედველობა (ICP 2)", „ლიცენზირება (ICP 4)", „შესაფერისობის კრიტერიუმი (ICP 5)", „კორპორატიული მმართველობა (ICP 7)", " რისკის მართვა და შიდა კონტროლი (ICP 8)" და "ბიზნესის წარმოება (ICP 19);

IAIS-ის ფარგლებში, სამსახური 2019 წლიდან არის შეფასებისა და იმპლემენტაციის კომიტეტის წევრი (IAC - Assessment and Implementation Committee), სადაც სამუშაო პროცესში სამსახურს წარმოადგენს და ქვეყნის სახელით მონაწილეობს სამსახურის უფროსი. მოცემულის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, შეხვედრები, არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, წარიმართა დისტანციურ რეჟიმში, სამსახურის აქტიური ჩართულობით. აქტიურად იყო ჩართული კომიტეტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, დაისახა კომიტეტის მუშაობის სამომავლო გეგმები, რაც შემდგომ ასახვას ჰპოვებს ასოციაციის სამომავლო საქმიანობაზე;

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა გააგრძელა IAIS-ის მრავალმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმის (MMoU) ხელმოწერაზე ოფიციალურად გაკეთებულ განაცხადზე მუშაობა, რაც დაიწყო წინა საანგარიშო წელს სამსახურის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვის მიზნით, შეიქმნა სპეციალური შემფასებელთა ჯგუფი, რომელიც შედგება სხვადასხვა ქვეყნის ზედამხედველებისგან/სადაზღვევო სისტემის წარმომადგენლებისგან. ამჟამად სამსახური საბოლოო შეფასების განხილვის პროცესში იმყოფება, იგი საკმაოდ ხანგრძლივია და ეფუძნება ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის/მიდგომების არსებით შესწავლას, რაშიც სამსახური აქტიურად არის ჩართული. აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს გლობალურ ჩარჩოს დაზღვევის ზედამხედველებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზე, რომლის ხელმომწერ ქვეყნებს შეუძლიათ დაცული გზით გაცვალონ შესაბამისი კონფიდენციალური ინფორმაცია და დაეხმარონ წევრ იურისდიქციებს, რითაც ხელს შეუწყობენ ტრანსსასაზღვრო სადაზღვევო ოპერაციების ფინანსურ სიმყარესა და სტაბილურობას, მომხმარებელთა სასარგებლოდ

და მათი ინტერესების დასაცავად. მემორანდუმის ფარგლებში ხდება ინფორმაციის (ლიცენზირება, მმართველი პირების შესაბამისობის კრიტერიუმები, ლიკვიდაცია/გაკოტრება, სადაზღვევო საქმიანობაზე მიმდინარე ზედამხედველობა, სადაზღვევო შუამავლები, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა და სხვა) მიღება/გაზიარება (მოთხოვნისამებრ) იმ მზღვეველების თაობაზე, რომლებზეც ხორციელდება ზედამხედველობა. ამჟამად MMoU-ში გაწევრიანებულია მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის ზედამხედველთა დიდი ნაწილი;

2022 წელს, ჩილეს რესპუბლიკაში, ქ. სანტიაგოში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს IAIS-ის წლიურ საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით „ცვალებადი გარემო - სადაზღვევო სექტორის როლი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების გამოწვევების წინაშე“. კონფერენცია დაყოფილი იყო ორ ნაწილად, კერძოდ: ასოციაციის დარგობრივი კომიტეტების შეხვედრები წევრების მონაწილეობით, სადაც მოხდა კომიტეტის კომპეტენციებს მიკუთვნებულ კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა და უშუალოდ წლიური ფორუმი.

შეხვედრებზე განიხილეს ჰოლისტური ჩარჩოს წარმატებით განხორციელება და მისი შეფასების საკითხები - სისტემური რისკის შეფასებისა და მისი შემცირების ინსტრუმენტები, რომელიც მოიაზრებს დაზღვევის ძირითად პრინციპებს (Insurance Core Principles) და საერთაშორისოდ აქტიური სადაზღვევო ჯგუფების ზედამხედველობის საერთო ჩარჩოს (ComFrame).

ბოლო ორი წლის განმავლობაში IAIS-მა დაიწყო ჰოლისტური ჩარჩოს შეფასება, რაც მოიცავს იურისდიქციების ადგილზე შემოწმებას და სწორედ ამ შემოწმების შეჯამებული ანგარიშის წარდგენა მოხდა შეხვედრაზე. სისტემური რისკების მონიტორინგის დასკვნებთან დაკავშირებით ასოციაციამ წარმოადგინა ახალი მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებითაც მათ მიზნად აქვთ დასახული ფინანსური სექტორის შეფასების შედეგების გაუმჯობესება და საერთაშორისო სადაზღვევო ჯგუფების სისტემური რისკების აღმოფხვრა.

შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს მიმდინარე გლობალური მაკროეკონომიკური გამოწვევები და საზედამხედველო პრაქტიკა ამ რისკების მონიტორინგისა და მათი მართვის საშუალებები, მზარდი კლიმატის რისკები სადაზღვევო სექტორში და მისი მიღების შემდგომ გლობალური კაპიტალის სტანდარტების ზედამხედველობა, რაც მომზადების დასკვნით ეტაპზეა.

კლიმატის რისკის შესწავლის ნაწილში ასოციაციამ განიხილა მათ მიერ შესრულებული სამუშაოები, კორპორატიულ მართვასა და მზღვეველთა მიერ რისკის მართვის საკითხები. მონაწილეებმა ასევე განიხილეს კლიმატის დაზღვევის სფეროში არსებული ხარვეზები, რისკები და მათ აღმოსაფხვრელად დაგეგმილი გადაწყვეტილებები.

შეხვედრების ბოლო ნაწილი დაეთმო ქალთა როლს სადაზღვევო სექტორში. სადაზღვევო ინდუსტრიაში მონაწილე ლიდერმა ქალებმა ისაუბრეს თუ რაოდენ შორს გვაქვს გადადგმული ნაბიჯი დაწესებული ბარიერების გადალახვის და სირთულეების დაძლევის გზაზე და მის აღმოსაფხვრელად სამომავლო გეგმებზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველო, რეგიონიდან გამომდინარე, IAIS-ის ფარგლებში გაწევრიანებულია ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ამიერკავკასიის რეგიონულ კომიტეტში (CEET Central, Eastern EU and Transcaucasian Region) და ზემო აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეებთან შედგა მოლაპარაკება, რომლის თანახმადაც 2023 წელს რეგიონული კომიტეტის შეხვედრა გაიმართოს საქართველოში, ქ. თბილისში, რომლის ორგანიზატორი უწყება იქნება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;

საანგარიშო წელს, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო IAIS-ის გლობალურ სემინარში, ხორვატიის რესპუბლიკის ქ. დუბროვნიკში. აღნიშნული შეხვედრა აერთიანებს სადაზღვევო სისტემის წარმომადგენლებს მსოფლიო მასშტაბით. შეხვედრის თემატიკას წარმოადგენდა სოციალური გამოწვევები და ინკლუზიური სადაზღვევო სექტორის საშუალებით

ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ფინანსური ჩართულობა, კლიმატური რისკები, კიბერ უსაფრთხოება სადაზღვევო სექტორში, სადაზღვევო სექტორის მთავარი საზედამხედველო საკითხების განხილვა და ახალი მიდგომები.

ვიზიტის ფარგლებში ასევე, ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ამიერკავკასიის ქვეყნების რეგიონალური შეხვედრა გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო 2020 და 2021 წელს ჩატარებული ღონისძიებების შედეგები;

2022 წელს, დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის და ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის ეგიდით (FSI Financial Stability Institute), კვლავ ჩატარდა ონლაინ სასწავლო კურსი (FIRST ONE PROGRAMM), რომელიც ეყრდნობა დაზღვევის საზედამხედველო სტანდარტების დაზღვევის ძირითად პრინციპებს (ICPs). სამსახურის თანამშრომლებმა (5 პირმა) კვლავ მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში, რამაც მათ მისცა საშუალება გაეუმჯობესებინათ პროფესიული მომზადების დონე და აემაღლებინათ კვალიფიკაცია;

ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სადაზღვევო ზედამხედველობის ინიციატივა (CESEE ISI - Central-Eastern and South-Eastern European Insurance Supervision Initiative) აერთიანებს მოცემული რეგიონის დაზღვევის ზედამხედველობის ორგანოებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ავსტრიის რესპუბლიკის ქ. ვენაში „ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ქვეყნების დაზღვევის ზედამხედველთა მე-20 შეხვედრაზე“, სადაც სამსახურს მიეცა შესაძლებლობა, გაცნობოდა საერთაშორისო გამოცდილებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი თემები: შესაფერისობის კრიტერიუმები და ზედამხედველობის გამოწვევები ამ კრიტერიუმების მუდმივი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ფინანსური განათლების როლი მომხმარებელთა უფლებების დაცვაში, პროპორციული მიდგომა მზღვეველების მიმართ, სადაზღვევო ბაზარზე არსებული IT და კიბერ რისკების მიმოხილვა, IFRS 17-ს დანერგვასთან დაკავშირებული ცვლილებები ფინანსურ აღრიცხვაში, გაკოტრების პროცესში დაზღვევის ზედამხედველთა როლი და ჩარევის მოცულობა და დაზღვევის სექტორის მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევები - კლიმატური ცვლილებები და „მწვანე ფინანსები“. მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტის ფარგლებში, ორმხრივი შეხვედრები გაიმართა ავსტრიის, სლოვენიისა და მოლდოვის დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურების ხელმძღვანელებთან პრაქტიკის გაზიარების მიზნით;

საანგარიშო პერიოდში, სამსახური დისტანციურ რეჟიმში დაესწრო IAIS-ის და ინგლისის ბანკის მიერ ორგანიზებული კლიმატის სცენარის ანალიზის სამუშაო შეხვედრას. შეხვედრაზე საუბარი შეეხო არსებულ გამოწვევებს და სირთულეებს საზედამხედველო რისკის შეფასებისას;

საანგარიშო პერიოდში, A2ii-ის (Access to insurance initiative) ორგანიზებით (რომელიც შექმნილია IAIS-ის ინიციატივით და წარმოადგენს ინკლუზიური დაზღვევის განმახორციელებელი და დიდი წვლილი შეაქვს IAIS-ის დაზღვევის სტანდარტების დადგენაში) გაიმართა ვებინარი თემაზე „ფასს 17-ის დანერგვით გამოწვეული შედეგები“. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა IFRS 17 გამოწვევებზე და მის დანერგვაზე შემდეგი საკითხების გათვალისწინებით, კაპიტალისა და ანგარიშგების სტრუქტურის მედეგობის შენარჩუნება, კაპიტალის ზღვარის შემცირების საჭიროება, საჭიროებისამებრ AASB 17-თან გათანაბრება;

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა კვლავ მიიღო მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების დაზღვევის ზედამხედველთა ეროვნული ასოციაციის (NAIC – National Association of Insurance Commissioners - შექმნილია და იმართება 50 შტატის დაზღვევის მარეგულირებლის მიერ და ადგენს ქვეყნის მასშტაბით სტანდარტებს) მიერ ვირტუალურ ფორმატში ორგანიზებულ სასწავლო პროგრამაში „International Fellows Online Program“. სასწავლო კურსი მოიცავდა 20 ლექციას შემდეგ სა-

კითხებზე: ამერიკის შეერთებული შტატების სადაზღვევო გადახდისუნარიანობის ჩარჩო, ანგარიშგების, გადაზღვევის, რეზერვირებისა და კაპიტალის ადეკვატურობის საკითხები, ლიცენზირება, ფინანსური რეგულაციების სტანდარტები, ბაზრის ანალიზი, კიბერუსაფრთხოება და კლიმატური რისკები. სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ, მონაწილეებზე გაიცა სერტიფიკატები;

წინა წლების მსგავსად, სამსახურმა კვლავ განაგრძო ევროპის სადაზღვევო და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ორგანოსთან თანამშრომლობა (EIOPA - European Insurance and Occupational Pensions Authority). მოცემული ორგანიზაცია, ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, 2007-2008 წლებში შეიქმნა ევროკავშირის ინიციატივით დაზღვევისა და პროფესიული პენსიების ზედამხედველობისთვის, ევროკავშირის ფარგლებში ფინანსური ბაზრის მეტად ინტეგრირებისა და რისკების შემცირების მიზნით. იგი ახორციელებს მონიტორინგს, ახდენს პოტენციური რისკების შეფასებას, ასევე არსებული კანონმდებლობის ანალიზს სადაზღვევო და არასახელმწიფო საპენსიო სფეროში, როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე არაწევრ ქვეყნებში.

ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, გერმანიის ფედერაციის ქ. ფრანკფურტში სამსახური კონფერენციის ორგანიზატორების - "European Insurance and Occupational Pensions Authority (EIOPA)"-ის, „European Banking Authority (EBA)" და „European Securities and Markets Authority (ESMA)"-ის მიწვევით დაესწრო მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებულ კონფერენციას. კონფერენციაზე განიხილეს დაზღვევის ფინანსურ ინკლუზიასთან დაკავშირებული საკითხები, არსებული გამოწვევების და ე.წ. „Greenwashing"-ის თავიდან აცილების გზები, რაც სიახლეს და გამოწვევას წარმოადგენს სადაზღვევო სექტორისთვის. ხაზი გაესვა მომხმარებლებისთვის ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებას და ინკლუზიურობის ზრდის გზებზე, ისევე როგორც მონაცემთა დაცვასა და მონაცემთა გადაცემის უსაფრთხოებაზე;

2022 წელს, სამსახური გაწევრიანდა „აღმოსავლეთ ევროპის რისკის დაზღვევის ასოციაციაში" (Eastern European Risk Insurance Association (EERIA)). აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს დაზღვევის მიმართულებით კვლევების ხელშეწყობის, ცოდნის გაზიარების და სადაზღვევო რისკების სწორად შეფასების პლატფორმას. ასოციაციის მიზანია, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში სადაზღვევო ბაზრის განვითარების სტიმულირება. ასოციაციის წევრობა იძლევა შესაძლებლობას რეგიონის მასშტაბით კომუნიკაცია იქონიოს დაზღვევის მარეგულირებლებთან და ზედამხედველებთან, ჰქონდეს წვდომა სასწავლო რესურსებთან, მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ წარმოებულ და ორგანიზებულ კვლევით ღონისძიებებში, ისევე როგორც საერთაშორისო კონფერენციებში. წევრობით სამსახურს დამატებით მიეცემა შესაძლებლობა ანალოგიურ სამსახურებთან პარტნიორობის დამყარების, მათი გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების და საერთაშორისო მიდგომების იმპლემენტაციის მიმართულებით;

2022 წელს, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკაში, ქ. ოჰრიდში აღმოსავლეთ ევროპის რისკის დაზღვევის ასოციაციისა და წმინდა კლიმენტ ოჰრიდის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციაში. შეხვედრაზე განიხილეს: ხელოვნური ინტელექტი დაზღვევაში და მისი მუშაობის პრინციპები, სადაზღვევო ბაზრის დივერსიფიკაცია, ავტომფლობელთა მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის განმსაზღვრელი ფაქტორები, მონაცემების ე.წ. „big data" ანალიტიკა;

სამსახურმა, კვლავ გააგრძელა თანამშრომლობა საპენსიო ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IOPS - The International Organization of Pension Supervisors), რომლის წევრიც 2020 წლიდან არის. აღნიშნული ორგანიზაცია შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), ასევე საპენსიო რეგულატორთა და ზედამხედველთა საერთაშორისო ქსელის (INPRS) ინიციატივით და ამჟამად მასში გაწევრიანებულია 88 სახელმწიფო (მათ შორის ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები: სომხეთი,

თურქეთი, რუსეთი, ყაზახეთი და სხვ). ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: მსოფლიო ბანკი (WB), საერთაშორისო სოციალური უსაფრთხოების ასოციაცია (ISSA), დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაცია (IAIS), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ასევე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან და ჩართულია საპენსიო ზედამხედველობის პოლიტიკის შემუშავება-განვითარებაში. მისი საქმიანობის მთავარი მიზანია, საზედამხედველო რგოლის ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდა კერძო საპენსიო სისტემებზე ზედამხედველობის პროცესში. ორგანიზაცია ადგენს საპენსიო ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე უზრუნველყოფს საპენსიო ზედამხედველობის სამსახურების დახმარებას, განსაკუთრებით ზრდადი ეკონომიკის ქვეყნებში.

2022 წელს სლოვაკეთის რესპუბლიკის ქ. ბრატისლავაში გაიმართა, IOPS ტექნიკური კომიტეტის შეხვედრები, წლიური შეხვედრა და კერძო საპენსიო თემებთან დაკავშირებული გლობალური ფორუმი. აღნიშნულ ღონისძიებებში სამსახურის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა III პილარის (არასახელმწიფო ნებაყოფლობითი საპენსიო სქემები) ფარგლებში, ხოლო II პილარის (სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემა) ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს დარგისთვის აქტუალურ საკითხებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე, არსებულ გამოწვევებზე და აქტივების მმართველების როლზე;

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ეროვნულ ბანკთან ერთად (რომელიც ასევე IOPS-ის წევრია დაგროვებითი პენსიის (პილარი 2) საინვესტიციო რეგულირებიდან გამომდინარე), დაამუშავა IOPS-ის კითხვარი - ISSA/OECD/IOPS არასახელმწიფო საპენსიო სქემების შესახებ არსებული მონაცემების თაობაზე, სადაც წარმოადგინეს ქვეყნის არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მოკლე მიმოხილვა და მაკროეკონომიკისა და დემოგრაფიული მონაცემები, ქვეყანაში არსებული არასახელმწიფო საპენსიო სქემების დეტალური მიმოხილვა (საკანონმდებლო გარემო). კითხვარში დეტალურად იყო აღწერილი არასახელმწიფო პენსიების სახეები, მისი გაცემა, საპენსიო შენატანი, პროფესიული საპენსიო სქემა, სადაზღვევო კომპანიების საპენსიო სქემები, აქტივების მმართველი კომპანია, სპეციალიზებული დეპოზიტარი, დამსაქმებელთა გაერთიანების საპენსიო სქემა და სხვა;

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ასევე, დაამუშავა IOPS-ის კითხვარი, რომელიც ამჯერად ითვალისწინებდა IT სისტემისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ზემოხსენებულ პროცესში, მონაცემთა დამუშავება და მისი ანალიზი, RBS-ი (risk-based supervision) და ESG-ი მიდგომები, მონაცემების რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სტატისტიკური მაჩვენებლები და სხვა;

2022 წელს, სამსახურმა ვირტუალურ ფორმატში მონაწილეობა მიიღო IOPS-ისა და საპენსიო კვლევის საერთაშორისო ასოციაციასთან (IPRA - international pension research association) ერთობლივად ორგანიზებულ ვებინარში "საპენსიო გადაწყვეტილებების შესახებ შრომის ცვალებად ბაზარზე";

2022 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების" (2019-2022 წწ.) პროექტის ფარგლებში. იგი ითვალისწინებს სამსახურისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას და საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ახალი სადაზღვევო პროდუქტების განვითარება/დანერგვას, როგორიცაა მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისთვის, მშენებლებისა და არქიტექტორებისთვის, სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტები და ინდექსზე დაფუძნებული აგროდაზღვევის განვითარება/ხელშეწყობა. უცხოელი ექსპერტების ჩართულობით დამუშავდა აღნიშნული საკითხები, შემდგომში სამსახურის უშუალო მხარდაჭერით სამივე სადაზღვევო პროდუქტის ბაზარზე დანერგვის საჭიროების დადგენის მიზნით, ჩატარდა კვლევა. შეისწავლეს საქართველოს ბაზარზე არსებული გამოწვევები და მომზადდა შესაბამისი ანგარიშიბი, რაც მოიცავს

პროდუქტების დანერგვის სცენარებს, ძირითად პირობებს და მთელ რიგ სხვა საკითხებს. პროექტები ასევე გაზიარდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევის (MMLI - Medical Malpractice Liability Insurance) საკითხის თაობაზე ჩატარდა ერთკვირიანი ტექნიკური ხასიათის სამუშო შეხვედრა, ონლაინ რეჟიმში მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი გადამზღვეველი კომპანია SCOR-ისა და დაზღვევასა და ჯანმრთელობის დაცვის ინდუსტრიაში არსებული რისკების მართვის წამყვანი ფრანგული სადაზღვევო კომპანია SHAM-ის წარმომადგენლების ჩართულობით. სამუშაო შეხვედრას, სამსახურის წარმომადგენლების გარდა, ესწრებოდნენ საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიის, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგანტოს, სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების და სხვადასხვა კლინიკური საავადმყოფოების წარმომადგენლები.

სამუშო შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა დაწვრილებით განიხილეს სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევის ანგარიში. შეხვედრის მიზანს ასევე, წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლება მოცემული პროდუქტის სხვადასხვა ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებით. ბაზრის მონაწილეების მიერ მოხდა ინფორმაციის მიღება იმ მიმართულებებზე, რომელთა პირობებშიც ბაზარი შეიძლება განვითარდეს, მოხდა აზრთა გაცვლა ინდუსტრიის ხელთ არსებული პრაქტიკის, ასევე ანგარიშში ასახული რეკომენდაციების განხორციელების პერსპექტივებისა და მოლოდინების შესახებ;

პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ვირტუალურ ფორმატში, მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ ჩატარდა სამუშაო შეხვედრა/დისკუსია სიცოცხლის დაზღვევის საბაზრო პრაქტიკისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ და ასევე, მშენებლებისა და არქიტექტორების პასუხისმგებლობის დაზღვევაზე (BALI). შეხვედრაზე განიხილეს ორივე სადაზღვევო პროდუქტის ანგარიში, პროდუქტების დანერგვის პერსპექტივა და პროდუქტის სხვადასხვა ტექნიკური ასპექტები;

2022 წელს მსოფლიო ბანკის „ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების პროექტის“ ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების მიერ ვირტუალურ რეჟიმში გაიმართა საქართველოში აქტუარული პროფესიის შესაძლებლობების განვითარების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების თაობაზე სამუშაო შეხვედრა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, აქტუართა და ფინანსურ ანალიტიკოსთა ასოციაცია, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო სააგენტო, აკადემიები). შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში არსებული მდგომარეობა და ამ მიმართულებით სამომავლო პერსპექტივები. აქტუარის პროფესია პირდაპირ უკავშირდება სადაზღვევო ტარიფების განსაზღვრის პროცესის მოდერნიზაციას, როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობებში და იგი დაზღვევის სფეროს ევროჰარმონიზაციის კუთხით უმნიშვნელოვანესი საკითხია;

ამ საკითხთან კავშირშია 2022 წელს სამსახურის მიერ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში მომზადებული შესაბამისი ცვლილებები, რომელიც უკავშირდება მზღვეველი ორგანიზაციებისთვის აქტუარის პოზიციის სავალდებულოდ შემოღების საკითხს, რაც საქართველოს მთავრობამ წარადგინა საქართველოს პარლამენტში განსახილველად. ამ ცვლილების მიზნებისთვის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტო (United States Agency for International Development - USAID) მხარდაჭერით, მათი ექსპერტებისა და სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობით, მომზადდა რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA);

2022 წელს ავსტრიის რესპუბლიკის ქ. ვენაში, სამსახურის წარმომადგენელი დაესწრო მსო-

ფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას, სადაც ძირითად საკითხად განიხილებოდა, შემდეგი: ფასს 9, ფასს 17 და მდგრადობის ახალი სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები, ბოლო წლების დინამიკა, პანდემიის და უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ზეგავლენები, ასევე აქტიურად განიხილებოდა გარემოს დაცვასთან და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები;

2022 წელს, სამსახურის წარმომადგენელი რუმინეთის რესპუბლიკის ქ. ბუქარესტში დაესწრო რიგით 23-ე საერთაშორისო დაზღვევისა და გადაზღვევის ფორუმს. ფორუმი დაყოფილი იყო ოთხ სესიად, კერძოდ: ბაზრის ტენდენციების კონფერენცია, ავტო დაზღვევის კონფერენცია, სადაზღვევო ბროკერების კონფერენცია და ჯანმრთელობის დაზღვევის კონფერენცია;

2022 წელს სამსახური აქტიურად ჩაერთო საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისთვის წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის შევსების პროცესში, დაზღვევის მიმართულებით.

კითხვარი დაიყო ორ ნაწილად, მათგან პირველი შეეხო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაწილს, რომელმაც მოიცვა დაზღვევის ძირითადი მაჩვენებლები, ხოლო მეორე სექტორულმა კითხვარმა - დაზღვევის მიმართულებით არსებული სრული საკანონმდებლო/სარეგულაციო ჩარჩო. მოცემული წარმოადგენს საფუძველს თითოეული სექტორის ევროსტანდარტებთან შესაბამისობის სურათს;

საანგარიშო პერიოდში, ბელგიის სამეფოს, ქ. ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის რიგით მეექვსე თემატური ჯგუფის სხდომაზე სამსახურის წარმომადგენლმა ვრცლად მიმოიხილა XV-A დანართის ფარგლებში დაზღვევის სფეროში განსახორციელებელ დირექტივებთან დაახლოების კუთხით არსებული მდგომარეობა;

2022 წელს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა და სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს შორის, რომელიც სომხეთის რესპუბლიკაში პასუხისმგებელია ფინანსური სექტორის (მათ შორის, დაზღვევის) ზედამხედველობაზე, რაც მიზნად ისახავს ორი ქვეყნის უწყებას შორის დაზღვევის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას, გამოცდილების გაზიარებასა და ინფორმაციის გაცვლას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურმა ასევე მონაწილეობა მიიღო: დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IAIS) მიერ ორგანიზებულ ონლაინ სასერთიფიკატო სასწავლო კურსში - „FSI-IAIS FIRST ONE online Programme" და XPRIMM-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში - დაზღვევა ციფრულ სამყაროში; აღნიშნული წარმოადგენს მედია სააგენტოს (Promoting the Reinsurance & Insurance Market by Media), რომელიც სპეციალიზებულია დაზღვევა/გადაზღვევის, დაზღვევის საშუამავლო საქმიანობის და კერძო საპენსიო დაზღვევის საკითხებზე.

7 საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი (TWINNING)

2022 წლის 3 სექტემბერს დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი (TWINNING) - „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელიც 2019 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. პროექტი ითვალისწინებდა „დაზღვევისა და გადაზღვევის საქმიანობის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“ (SOLVENCY II) ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას და მისი ბიუჯეტი შეადგენდა 1 200 000 ევროს, რომლის ფარგლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნის, ესპანეთის სამეფოს ანალოგიური სამსახური - ეკონომიკურ საქმეთა და ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული „დაზღვევისა და საპენსიო ფონდების გენერალური დირექტორატი“, გრძელვადიანი და მოკლევადიანი ექსპერტების ჯგუფით დახმარებას უწევდა სამსახურს, სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის ახლებური სტანდარტის და მისი თანმდევი პროცესების დანერგვის მიმართულებით. მსოფლიოში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, რაც უკავშირდებოდა ახალი კორონა ვირუსით (Covid-19) გამოწვეულ პანდემიას, დასახული მიზნის მაქსიმალურად ეფექტიანად მისაღწევად, დაგეგმილ სცენარში შეტანილი კორექტირებებით, შესაძლებელი გახდა პროექტის წარმატებულად განხორციელება.

პროექტის ზოგად მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა და ფინანსური (სადაზღვევო) სექტორის ანგარიშვალდებულების, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაზრდა; ხოლო **კონკრეტულ მიზანს -** სამსახურის ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს სადაზღვევო სექტორის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, სამსახურისადმი ანგარიშვალდებულების დახვეწას, სფეროს ფინანსურ უსაფრთხოებას და ევროკავშირის რეგულაციებით გათვალისწინებული გადახდისუნარიანობა 2-ის (SOLVENCY II) სტანდარტის დასანერგად სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას.

გადახდისუნარიანობა 2 არის ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი რისკზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც არეგულირებს სადაზღვევო საქმიანობისა და მისი ზედამხედველობის ყველა ეტაპს, არის დინამიური და იცვლება რისკის ცვლილების შესაბამისად. გადახდისუნარიანობა 2 ძირითადად გულისხმობს მზღვეველის შესაძლებლობას, უფრო ეფექტიანად შეასრულოს დამზღვევის წინაშე აღებული ვალდებულებები, ემსახურება კომპანიათა ფინანსური სიმყარის გაძლიერებას, მათ წინაშე მდგარი რისკების სათანადო იდენტიფიცირებას და მართვას, შიდა მართვის სტანდარტების დანერგვას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სამსახურის სათანადო და დროულ ზედამხედველობას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სადაზღვევო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და მისი სანდოობის გაზრდას.

პროექტი მოიცავდა ორ კომპონენტს: ახალი საკანონმდებლო/სარეგულაციო ჩარჩოს შექმნას გადახდისუნარიანობა 2-ის სტანდარტის შესაბამისად და ინსტიტუციური და

ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებას, როგორც სამსახურის თანამშრომელთა ცოდნისა და გამოცდილების გაზრდით, ისე მზღვეველთა ცნობიერების ამაღლების გზით.

2022 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში ჩატარდა 10 მისია, მათ შორის, 9 საქართველოში და 1 - ესპანეთში. ჩატარებული მისიებიდან აღსანიშნავია შეხვედრები, რომელიც დაეთმო: ზედამხედველობის საკითხებს, მათ შორის, ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას, ევროკავშირის სივრცეში არსებულ საკანონმდებლო საქმიანობას, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისა გადახდისუნარიანობა 2-ზე გადასვლის საკითხებს.

ესპანეთის სამეფოში ვიზიტი მოეწყო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის საერთაშორისო და იბერიულ-ამერიკული ფონდის (FIIAPP) მიწვევით, ქ. სევილიაში და ხერეს-დე-ლა-ფრონტერაში. სამსახურის წარმომადგენლებმა და პროექტში ჩართულმა ძირითადმა ექსპერტებმა განიხილეს პროექტის მიმდინარეობა, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები, რაც მოიცავდა პროექტის საბოლოო ფაზისთვის საჭირო გასატარებელ ღონისძიებებს. ვიზიტის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლები ასევე ესტუმრნენ საერთაშორისო სადაზღვევო ჯგუფ „ჰელვეტიას“. მასპინძლებმა ჩაატარეს პრეზენტაცია და შეხვედრის ფარგლებში, დელეგაცია გაეცნო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ჯგუფის სტრუქტურას. აღნიშნული ჯგუფი 1858 წელს დაარსდა შვეიცარიაში და შესაბამისად, მისი მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი იყო. სამსახურს მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა ევროპული ქვეყნის წამყვანი სადაზღვევო ჯგუფის მუშაობის მოდელს.

ზემოაღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, სამსახური ესტუმრა ჰელვეტიის შუამავალ კომპანიას და დეტალურად გაეცნო კომპანიის მიერ საშუამავლო საქმიანობის პროცესს და სპეციფიკას, როგორც მომხმარებელთან და სადაზღვევო კომპანიასთან, ასევე საზედამხედველო ორგანოსთან ურთიერთობისა და სარეგულაციო ჩარჩოსთან მიმართებით.

ვიზიტის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლებს ასევე უმასპინძლა ადგილობრივმა სადაზღვევო კომპანიამ „MIC“, რომელმაც დაარსების დღიდან დაიწყო თავისი საქმიანობა ესპანეთში და შემდგომში მოიცვა ევროპის სხვადასხვა ქვეყანა. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს ბროკერების და/ან შუამავლების მეშვეობით და მისი საქმიანობა მოიცავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ფინანსურ ვალდებულებათა და მშენებლობის დაზღვევას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანია დაინტერესდა საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი მიდგომებით. აქვე აღსანიშნავია, რომ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გამოქვეყნდა მასპინძელი ორგანიზაციის ინტერნეტ ჟურნალში.

კანონპროექტის სრულყოფის, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოსთან ადაპტაციის და მაქსიმალური დაახლოების მიზნით, 2021 წელს სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამუშაოებს წარმართავს ამავე ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის და სამუშაო გრაფიკის შესაბამისად.

2022 წელს სამსახურში კვლავ გაგრძელდა სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის მუშაობა ესპანელი ექსპერტების მიერ მომზადებულ კანონპროექტზე, მისი სრულყოფის, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოსთან ადაპტაციის და მაქსიმალური დაახლოების მიზნით. სამუშაო ჯგუფი წინა წლის მსგავსად, კვლავ რეგულარულად იკრიბებოდა გეგმით გაწერილი საკითხების განხილვა-დამუშავებისთვის და დაასრულა ტექსტის პირველადი გადამუშავება. ვინაიდან დირექტივის მოთხოვნები სისტემური ხასიათისაა და მასთან ჰარმონიზაციით სრულებით იცვლება დაზღვევის სარეგულაციო ჩარჩო, ისევე როგორც სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის პროცესისადმი მიდგომები, მისი იმპლემენტაციის საკითხი დროში განგრძობადია და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალში კვლავ გაგრძელდება.

საანგარიშო პერიოდი, მოცემული პროექტის ფარგლებში, ასევე, ჩატარდა გასვლითი სამუშაო შეხვედრა ქ. ბათუმში, სადაც გაიმართა

პროექტში ჩართული ორივე მხარის შეხვედრები და განიხილეს პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები და პროექტის დამამთავრებელი ეტაპისთვის გასატარებელი საჭირო ღონისძიებები.

პროექტის დასრულებას მიეძღვნა სპეციალური ღონისძიება, რომელსაც სამსახურისა და ინდუსტრიის წარმომადგენლების გარდა, ესწრებოდნენ სამსახურის სამეთვალყურეო ბორდის წევრები, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. ღონისძიებაზე მოხდა პროექტის შეჯამება, მისი სრული ანალიზი და მისი დამსწრე საზოგადოებისთვის გაცნობა.

8 მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული სამუშაოები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშრებით, 2022 წელს სამსახურს წარედგინა 141 ახალი განცხადება, ამავდროულად, მიმდინარეობდა 2021 წელს მიღებული განცხადებებიდან 9 განცხადების განხილვა. ჯამურად, 2022 წელს სამსახურმა დაასრულა საქმისწარმოება 141 განცხადებაზე, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქმისწარმოება მიმდინარეობდა 9 განცხადებაზე. ასევე, სამსახურმა ჩაატარა 216 (ყოველთვიური) მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ ანგარიშგების რევიზია.

დისტანციური მონიტორინგის და მომხმარებლების განცხადებების განხილვის ფარგლებში გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის დარღვევები და მათი სერიოზულობისა და სიმძიმის მიხედვით განხორციელდა შესაბამისი სახის სანქციის გამოყენება. კერძოდ, ჯამში 13 სანქცია, 4 წერილობითი გაფრთხილება, 3 წერილობითი მითითება და 6 ფულადი ჯარიმა.

2022 წელს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის როგორც ამოქმედებამდე, ასევე მის შემდგომ, სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან. ასევე, კანონიდან გამომდინარე მოსალოდნელ სიახლეებთან დაკავშირებით სამსახურმა აქტიურად ითანამშრომლა სადაზღვევო სექტორთან. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული საკითხების და სადაზღვევო ურთიერთობებში მათი ზეგავლენის, ასევე დაზღვევის მარეგულირებელ აქტებში მოსალოდნელი ცვლილებების განხილვის მიზნით, 16 მაისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა სადაზღვევო სექტორთან. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ასევე, დაზღვევაში არსებული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადდა და ძალაში შევიდა ცვლილება „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“.

გარდა ამისა, სამსახური აქტიურად იყო ჩართული და ევროსაბჭოს დაფინანსებით, მონაწილეობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და სამსახურის მიერ გამართულ ორდღიან შეხვედრაში - „თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის პრევენცია სადაზღვევო სფეროში“. აღნიშნული სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განიხილეს უშუალოდ დაზღვევის სფეროში დისკრიმინაციასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები და მზღვეველში დისკრიმინაციის პრევენციის გზები.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახური ჩართული იყო მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან შეხვედრაში. აღნიშნული შეხვედრა გაიმართა 2022 წლის 31 მარტს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მსოფლიო ბანკის „ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების პროექტის“ ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ მომზადდა

რეკომენდაციები ანგარიშის სახით, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და შემდგომ დახვეწას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილეს სამინისტროს მიდგომები პროგრამის სამომავლო პერსპექტივების და განვითარების შესახებ. ასევე, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებთან დაკავშირებით გატარებული და სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებები. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ამჟამინდელი სქემა, ასევე, ხაზი გაესვა პროგრამასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ანგარიშით შემოთავაზებული გარკვეული რეკომენდაციების დანერგვის პერსპექტივას და მიმდინარეობას.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული, 2022 წლის 16-17 ნოემბერს კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ თბილისში პირველად გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში. ორდღიანი კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები“ გაიმართა ქვეყნის 5 მარეგულირებელი უწყების - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, სემეკის, ეროვნული ბანკის, კომუნიკაციების კომისიისა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით, კონკურენციის სამართლის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმების და მარეგულირებელი უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. კონფერენციაში სამთავრობო და საპარლამენტო გუნდის, დიპლომატიური კორპუსის, მეგობარი ქვეყნების, ბიზნესის, არასამთავრობო და აკადემიური სექტორის წარმომადგენლების და დარგის სპეციალისტების გარდა, 20 ქვეყნის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა, ტერესა მორეირამ და სხვა მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა. კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ გამართულ პარალელურ თემატურ სესიებზე, სამსახურმა წარადგინა პრეზენტაცია და იმსჯელა მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს და ევროპის პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით 2023 წლისთვის დაგეგმილია სადაზღვევო ორგანიზაციებში დანერგილი ნორმატიული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის გაძლიერება.

9 ფინანსური განათლების მიმართულებით გაწეული სამუშაოები

2022 წელს ფინანსურ სექტორს პირველად შეუერთდნენ მზღვეველები მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნას - 15 მარტი. კამპანია წარიმართა კვირეულის ფორმატში და მისი სლოგანი იყო - "იცოდე შენი უფლებები - იყავი დაცული". კვირეულის ფარგლებში, კამპანიაში ჩართული ორგანიზაციები ახორციელებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანიც მომხმარებლებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. სამსახურის მიერ ფინანსური განათლების ვებპორტალის (www.finedu.gov.ge) საშუალებით განხორციელდა ლაივ ჩართვა, თემაზე - „დაზღვევა და მომხმარებლები". ასევე, სამსახურისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებით, მზღვეველების დაფინანსებით მომზადდა სადაზღვევო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, შემეცნებითი ვიდეო რგოლი, რომელიც კვირეულის ფარგლებში განთავსდა სოციალურ ქსელებში.

სამსახურმა მუშაობა დაასრულა და მოამზადა სამაგიდო თამაში - „მეტი გართობა და ნაკლები რისკი".

2022 წელს, სამსახურის მიერ დაწესდა და პირველად აღინიშნა დაზღვევის დღე საქართველოში - 2 მაისი. დაზღვევის დღე, ასევე წარიმართა კვირეულის ფორმატით და საინფორმაციო კამპანიის დევიზი იყო „მეტი დაცვა და ნაკლები რისკი".

კამპანიის ფარგლებში, www.finedu.gov.ge-ზე გამოქვეყნდა სადაზღვევო საკითხებზე კროსვორდი, შემეცნებითი კითხვარი. გარდა ამისა, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო „Finოსოფიურ დღიურებში", რომელიც მიეძღვნა დაზღვევის იდეას და უჩვეულო რისკების დაზღვევას. გაიმართა სამსახურის უფროსის საჯარო შეხვედრა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში და ფინანსური განათლების ხელშეწყობის მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი უნივერსიტეტსა და სამსახურს შორის. ფინანსური განათლების პორტალის www.finedu.gov.ge და საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის მხარდაჭერით, სადაზღვევო სექტორის ჩართულობითა და ფინანსური კონტრიბუციით ჩატარდა ღია კონკურსი „მეტი დაცვა და ნაკლები რისკი". კონკურსი მოიცავდა ორ კატეგორიას, დაზღვევის თემაზე პოსტერისა და სლოგანის შექმნას.

სამსახურის ორგანიზებით, დაზღვევის დღესთან დაკავშირებით სასტუმრო „ბილტმორში" გაიმართა ღონისძიება, რომლის სტუმრები იყვნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, უცხოელი და ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები, სადაზღვევო სექტორი. სტუმრები გაეცნენ ფინანსური განათლების სტრატეგიის ფარგლებში, სამსახურის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, წარედგინათ და გადაეცათ სამაგიდო თამაში, გაიმართა კონკურსანტების დაჯილდოება და დაზღვევის სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ბატონ დევი ხეჩინაშვილს, არჩილ ცერცვაძეს და გურამ მირზაშვილს გადაეცათ საპატიო სიგელები.

ფინანსური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში, სამსახურის მიერ დაფინანსდა ქართველი და იტალიელი სამართლისა და დაზღვევის სპეციალისტების მიერ მომზადე-

ბული წიგნის ბეჭდვა. წიგნში მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, დაზღვევის თავის კომენტარები, დაზღვევის სფეროში არსებული კანონმდებლობის საფუძვლიანი ანალიზი და შედარება, ამავე სფეროში არსებული მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობასთან.

გარდა ამისა, 2023 წლისთვის დაგეგმილია დაზღვევის სფეროში ფინანსური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და გატარება.